



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 155



2013 წლის 19 ნოემბერი  
ქალაქი ხაშური

„შეშით მოვაჭრე ავტომანქანებისათვის პარკირების ადგილის განსაზღვრის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 13 აგვისტოს N121 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63- ე მუხლის საფუძველზე:

1. შევიდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 13 აგვისტოს N121 განკარგულების სათაურში და სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„შეშით მოვაჭრე, სატვირთო და მსუბუქი სატვირთო ავტომანქანებისათვის პარკირების ადგილის განსაზღვრის შესახებ“;

2. შევიდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 13 აგვისტოს N121 განკარგულების პირველი მუხლში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს შეშით მოვაჭრე, სატვირთო და მსუბუქი სატვირთო ავტომანქანების პარკირებისათვის ადგილი ხაშურის „ივერის“ სტადიონის მიმდებარედ, აღმოსავლეთის მხრიდან. (თანდართული ნახაზის შესაბამისად)“.

3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  
დავით ლომიძე

